№ 25 1917
კვირა თიბათვის 18

ფასი 20 კ.

ფელიეტონი მეხუთე გამოცემისა

**ნოე ჟორდანია**

სახელგანთქმული პუბლიცისტი, ამიერ კავკასიის (რ. ს. დ. მ. პ.) სოციალ დემოკრატიის ბელ:დი და სხვა და სხვა სარევოლიუციო კომიტეტის თავმჯდომარე, გასულ კვირას ს. დ. პარტიის კონფერენციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეული.

## სიმღერა

ადგერ მოსჩანს ცის ტატნობზე
განთიადი მშვენიერი,—
ბორკილს ამტვრევს მშრომელ
ხელით
ჩვენი ხალხი, ჩვენი ერი.

ყველა ხარობს მის მშვენებით:
ყმაწვილია, თუ ხნიერი,
რადგან თავის შრომის შემდეგ
არ დარჩება კვლავ მშიერი.

მეც მოვ:სწარ, რაც მინდოდა:
აღსდგა ხალხი მკლავ-ძლიერი;
აჰყვავდება, ვით ოდესაც,
საქართველო ბედნიერი!!

**ალ. გერმანაშვილი.**

## მაყვალა

(ქართველ ქალს)

ჩემო მაყვალა,
ქალო შავ-თვალა,
ნაზო, ზე-ქმნილო,
ნათელ-მზიანო;
ტურფა ლამაზო,
ვარდო მალხაზო,
სულის საუნჯევ,
ალერსიანო!
შვების რვეულო,
გულის რჩეულო,
თუ უცხო ვინმეს
ტრფობა დაუწყო;
ქართლისა მშვენო,
გმირ შვილთა მჩენო,
სამშობლო შენი
არ დაივიწყო!..

**ს. ერთაწმინდელი**

# ეროვნული საკითხი

ყველამ იცის დღეს, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში დიდიხანია, ორი მთავარი მიმდინარეობაა: მეუმცირესეთა და მეუმრავლესეთა, მენშევიკები და ბოლშევიკები.

მთავარი განსხვავება მათ შორის ტაქტიკის საკითხია.

ჩვენთვის მეტად საყურადღებოა ამ ჟამათ ბოლშევიკების შეხედულება ანუ რეზოლუცია ნაციონალური საკითხის შესახებ.

ამ რეზოლუციით ყველა ერებს, რომლებიც რუსეთის საზღვრევში სცხოვრობენ, უფლება აქვთ, გამოეყონ და ცალკე დამოუკიდებელი სახელმწიფო შეადგინონ.

ბოლშევიკები უარჰყოფენ ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიას და იცავენ ფართო საოლქო ავტონომიას.

თავისუფალი ერი დამოუკიდებელი ერია. ეს არის უტყუარი და საანბანო ჭეშმარიტება. იქ სადაც დამოკიდებულებაა, არ არის სრული თავისუფლება.

ამიტომ რადიკალურათ გადაჭრა ეროვნული საკითხისა არის ყოველი ერის სრული დამოუკიდებლობა.

ქართველი ერი რომ თავისუფალი იყოს, რა არის მისთვის საჭირო?

სრული გამოყოფა და ცალკე სახელმწიფოს შექმნა.

საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა რომ გავითვალისწინოთ, აღვილათ დავრწმუნდებით, რომ ქართველი ერისათვის ამგვარათ გადაჭრა ეროვნული საკითხისა არა თუ შეუძლებელია დღეს, ხელსაყრელიც არ არის დღევანდელს პირობებში.

დამოუკიდებელი საქართველო, რომელსაც რკალივით აკრავს გარშემო სამაჰმადიანო ქვეყნები, თვითონ ქართველი ერის ინტერესების თვალსაზრისით არ არის ჩვენთვის მისაღები.

ქართველი ერისათვის საჭიროა დღეს, რომ იმის ეროვნულ განვითარებას არავითარი დაბრკოლება არ ეღობებოდეს წინ.

ჩვენი ერის განვითარება რუსეთის რესპუბლიკის სამზღვრებში საკმაოთ უზრუნველყოფილი იქნება, თუ ჩვენ მივიღებთ ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას.

ეს არის ეროვნულ საკითხში ქართველი ერის პროგრამა-მინიმუმი.

მაგრამ მის, როგორც ერს, უნდა ჰქონდეს პროგრამა მაქსიმუმიც — დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა.

ის, რაც შეუძლებელია დღეს, იქნება შესაძლებელი გახდეს მომავალში.

შესაძლებელია, რომავალში საჭიროთ დავინახოთ მისი მიღება, რასაც დღეს უარვყოფთ.

შესაძლებელია, კავკასიის ერთა კულტურული განვითარება ისეთის ნაბიჯით წავიდეს წინ, რომ კავკასიის დამოუკიდებელი არსებობა პრაკტიკულ საკითხათ დაისვას.

რატომ არ შეიძლება შორეულ მომავალში კავკასიამ შექმნას ისეთივე რესპუბლიკა, როგორსაც წარმოადგენს შვეიცარია?

ამ რესპუბლიკაში შევლენ თანასწორის უფლებით დამოუკიდებელი ქართველები, სომხები, თათრები, მთიულები.

ამიტომ, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიაზე, ჩვენ არასოდეს არ უნდა გვავიწყდებოდეს ეს მომავალი შესაძლებლობა. კავკასის რესპუბლიკა, ეს უნდა იყოს ჩვენი პროგრამა-მაქსიმუმი ეროვნულ საკითხში.

საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას უნდა შევხედოთ ამ მომავალის თვალსაზრისითაც და მოვითხოვთ მისგან ორი რამ: პირველი — ქართველ ერის კულტურულ-ეროვნულ განვითარების სრული უზრუნველყოფა;

მეორე — ქართველი ერის სახელმწიფოებრივათ მომზადება და მომწიფება.

ამ მიზანს შეეფერება ავტონომია დიდი უფლებებით ანუ კომპეტენციით და არა ფრთა-შეკვეცილი, უფლება-აყრილი.

ჩვენში არსებული პარტია ნელანელა ღებულობს ეროვნულ თვითმართველობას, ცენტრის ყურმოჭრილ მონას.

ბოლშევიკები კი ალიარებენ დღეს ფართო საოლქო ავტონომიას, სადაც სრულებით

გაუქმებული უნდა იყოს მაღლიდან ზედამხედველობა.

სასიამოვნო ჰოვლენა ის არის, რომ ქართველი ბოლშევიკები, რომლებიც სრულებით უარ ჰყოფდენ ავტონომიის ხსენებასაც კი, დღეს მხარს უჭერენ არა თუ ფართო ავტონომიას, ერის ცალკე გამოყოფას და დამოუკიდებლობას.

მაგრამ ბოლშევიკებს თითქოს თავისივე ნათქვამისა შეშინებიათ და რეზლუციაში ჩაუმატებიათ რუსეთის სხვა და სხვა ერების მუშები ერთ ორგანიზაციაში უნდა იყონ შეკავშირებულნი.

თუ კი ერს ეკუთვნის უფლება გამოყოფისა, ეს უფლება ვრცელდება ერის ყველა კლასებზე, რადგანაც ეს კლასები შეადგენენ ერს.

თუ კი პოლონეთი მაგალითად დამოუკიდებელი სახელმწიფო იქნება, რანაირად შეიძლება, რომ მასში მომქმედი სოციალდემოკრატიული პარტია ატარებდეს რუსეთის სოციალდმოკრატიული პარტიის სახელს და არა პოლონეთისას!

რა ნაირად შეიძლება, რომ პოლონეთის ერი სრულებით დამოუკიდებელი იყოს და ამავე დროს პოლონეთის პროლეტარიატი ემორჩილებოდეს რუსეთის პროლეტარიატს!

დავანებოთ სრულ დამოუკიდებლობას თავი და ავიღოთ ეროვნულ-ტერიტიალური ავტონომია.

შესაძლებელია ისეთი პრაქტიკულ საკითხები წამოაყენოს ცხოვრებამ, რომ ავტონომიას პროლეტარიატი არ გაჰყვეს რუსეთის პროლეტარიატს.

ვინც იტყვის: ამგვარი შემთხვევა შეუძლებელიაო, მე უპასუხებ: თუკი ყველა ერი ავტონომიურათ მოეწყო რუსეთში, ამგვარი შემთხვევები ბევრი იქნება.

ამიტომ ყველა ერს ავტონომია და დამოუკიდებლობაც კი,— ამავე დროს ერთი მუშათა პარტია მთელს რესპუბლიკაში შეუძლებელია.

ყოველ ერს ავტონომიურათ მოწყობილს ეყოლება საკუთარი მუშათა პარტია. ინტერნაციონალისაკენ მიმავალი გზა ერს, ეროვნულ კულტურას ვერასოდეს ვერ ასცდება.

ვინც ერს, ეროვნულ კულტურას უარჰყოფს, მას ნათლათ არა აქვს წარმოდგენილი სოციალიზმი.

სოციალიზმი არის თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირი და არა ერთმანეთში არეულ—გათქვეფილ და გადაგვარებულ ერთა საზოგადოებრივი ცხოვრება.

**ივ. გომართელი.**

---

# თეატრის მდგომარეობა დაბა-სოფელში

(წერილი გურიიდან)

გურულების კულტურულათ აღზრდა-განვითარების წეურვილის შესახებ დაბარაკიც ზედმეტია; ეს უკვე ერთობ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ისინი ამ მხრივ დიდს უნარს და ფუნქციონობას იჩენენ. ამ წერილში მინდა აღვნუსხო, თუ როგორ იკიდებს ფეხს ამ ბაწაწინა კუთხეში თეატრი. აქ სამი-ოთხი მუდმივი სცენა მუშაობდა კიდევ დიდი ხნიდან: ოზურგეთის, ჩოხატაურის, ხიდისთავის, დანჩხუთის... ეს თეატრები საკმაოდ რეგიანად ასრულებდენ და დღესაც ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას... მხოლოდ ეხლა თვალი გადავაგდოთ, თუ რა ხდება სოფლად' დღეს, ამ თავისუფლების ხანაში, ვერ შეხვდებით სოფელს, სადაც თეატრული შემდეგ აქამდე არ გამართულიყოს 3—4 წარმოდგენა და ეს გურულები, მუდამ ახალი შთაბეჭდილების მკლეველ-მძებნელნი და მოწყურებულნი ისე დაეწაფენ წარმოდგენებს, რომ ჩვენი ქალაქების თეატრებსაც შეშურდებათ ასეთი აუდიტორია— მსმენელ-მაყურებელნი. ასე გასინჯეთ, ხშირია შემთხვევაც, რომ ამ ხის ძირათ გამართულ წარმოდგენებზე შემოსავალი ადემატება ათას მანეთს. მხოლოთ რას აწვდიან ამ აუდიტორია მაყურებელთ, რა მდგომარეობაშია ხელოვნება, ვინ ხელმძღვანელობს წარმოდგენებს, როგორია მათი რეპერტუარი, ვინ ასურათებს ბიესების მომქმედ ბირთ?!. ვინ გინდათ რომ დღეს არ „მსახიობობდეს“.. და ასე გასინ-

ეროვნულ კულტურას ვერასოდეს ვერ ასცდება.

ვინც ერს, ეროვნულ კულტურას უარჰყოფს, მას ნათლათ არა აქვს წარმოდგენილი სოციალიზმი.

სოციალიზმი არის თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირი და არა ერთმანეთში არეულ—გათქვეფილ და გადაგვარებულ ერთა საზოგადოებრივ ი ცხოვრება.

**ივ. გომართელი.**

---

# თეატრის მდგომარეობა დაბა-სოფელში

(წერილი გურიიდან)

გურულების კულტურულათ აღზრდა-განვითარების წეურვილის შესახებ დაბარაკიც ზედმეტია; ეს უკვე ერთობ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ისინი ამ მხრივ დიდს უნარს და ფუნქციონობას იჩენენ. ამ წერილში მინდა აღვნუსხო, თუ როგორ იკიდებს ფეხს ამ ბაწაწინა კუთხეში თეატრი. აქ სამი-ოთხი მუდმივი სცენა მუშაობდა კიდევ დიდი ხნიდან: ოზურგეთის, ჩოხატაურის, ხიდისთავის, დანჩხუთის... ეს თეატრები საკმაოდ რეგიანად ასრულებდენ და დღესაც ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას... მხოლოდ ეხლა თვალი გადავაგდოთ, თუ რა ხდება სოფლად' დღეს, ამ თავისუფლების ხანაში, ვერ შეხვდებით სოფელს, სადაც თეატრული შემდეგ აქამდე არ გამართულიყოს 3—4 წარმოდგენა და ეს გურულები, მუდამ ახალი შთაბეჭდილების მკლეველ-მძებნელნი და მოწყურებულნი ისე დაეწაფენ წარმოდგენებს, რომ ჩვენი ქალაქების თეატრებსაც შეშურდებათ ასეთი აუდიტორია— მსმენელ-მაყურებელნი. ასე გასინჯეთ, ხშირია შემთხვევაც, რომ ამ ხის ძირათ გამართულ წარმოდგენებზე შემოსავალი ადემატება ათას მანეთს. მხოლოთ რას აწვდიან ამ აუდიტორია მაყურებელთ, რა მდგომარეობაშია ხელოვნება, ვინ ხელმძღვანელობს წარმოდგენებს, როგორია მათი რეპერტუარი, ვინ ასურათებს ბიესების მომქმედ ბირთ?!. ვინ გინდათ რომ დღეს არ „მსახიობობდეს“.. და ასე გასინ-

ჯეთ, ეს ვიკინდარა „ხელოვანნი“ არ კმარობენ თავიანთ სოფლებს, მოგზაურობენ კიდეც სხვა და სხვა ადგილას და არც წარმოდგენების მმართველთ, არც ამ ეოფლთ უვიც სცენის მოყვარეთ (უფრო სცენის მტერთ) ის ვერ შეუგნიათ, როგორ აბუნად იგდებენ ხელოვნებას, საზოგადოებას და უფრო კი თავის თავსა. ეოფლთ მოუმზადებლათ სდგამენ თავის სარეპერტუარო პიესებს: „ორი მშიერი“ „მოტეუებული“, „პატარა კახიდანა“ II მოქმ. (ხალათებში) და სხვა. არ არის დაცული არცა ერთი მოთხოვნილება არც პიესისა და არც უბრალო ეთიკისა. დეკორაციის შესახებ ხომ დაბარაკიც ზედ მეტია: რა დეკორაციას უნდა წარმოადგენდეს სრულიად გაშლილი აივანი და სხვა ასეთები. ამ მოვლენის უსაშინელეს შთაბეჭდილების სავსებით კალმოტეემა ნეშს ძალას ადემატება. ვგონებ მკითხველი ნათლათ წარმოიდგენს, თუ რა საშინელ დრამას კინიტლის ამ გვარ მესვეურთა ხელში სახალხო სცენა-თეატრი. კმარა, გულშემზარავი ფაქტი თვით დადადებს ამ დამალონებელს ყოველად უგვანობებს... მხოლოდ როგორ ალმოიფხვრას ძირიან-ფესვიანა ეს უსირცხვილო უწესობაზე! ვგონებ ამ მხრივ მეტათ კომპეტენტიურია და მაშ მეტი ეურადღება უნდა მიაპყრას ამ მოვლენას მსახიობთა კავშირმა დრამატიულ საზოგადოებამ და მათ რწმუნებულ, მა აგენტებმა. საპირველ დაუფონებლივ რამდენათ კი შესაძლებელი იქნება ეს ნაკლი თავიდან აიშორეთ, რომ საზოგადოებას არ აუტრუედეს გული თეატრზე, რაც უკვე აქა იქ თვალსაჩინო ხდება. მე არ ვამბობ, რომ სოფლად წარმოდგენები არ იმართებოდეს, პიაიქეთ: ძალიერ საჭიროა არის და აუცილებელია, მხოლოთ რამდენათაც კი შესაძლოა რიგიანათ უნდა იმართებოდეს ეს წარმოდგენები და ეს კი მოხდება მაშინ, თუ ცოტა თუ ბევრათ, მცოდნე პირი ეხელმძღვანელებს ამ წარმოდგენებს.

**ვინთანი.**

---

# „თიქრი სანატრი“
# „თიქრნი შავად მღელვარნი“

**სათავე ბარათაშვილის ურვისა: “ხმა იდუ-ი“**

დრო იყო, როდესაც ადამიანი მიაჩნდათ, ვარტო ოდენ tapula raza—სუფთა დაფად, რომელზედაც, ვითომც გარემოება აღბეჭდავდა თვის შინაარს. მაშინ კაცის შემოქმედებას გარემოების ზედ გავლენით ხსნიდენ. ეტყობა რომ ხომლელიც ამ საზომით აფასებს ბარათაშვილის სულის სალაროს. ეს მართალი საზომი არ არის. ადამიანის გულის ნადებს და სულის ნაღვაწს გარემოების ჩაძახილად ვერ ამოვწურავთ. მისი შინაარსი მეტია, ვიდრე გარემორტყმულ ცხოვრებამ უკარნახა. ამ ზედმეტს ვერ შეესბამა პირწმიდათ ცხოვრების ნივთიერი მხარე...

არამც თუ ადამინი, ეს ქვეყნის დამურგი და გადამქნელი, უბრალო ცხოველიც კი არ არის გარემოების ყურ--მოჭრილი ყმა. იგი თავის ბური ხუროთმოძღვარია, რომელსაც გარემოება მხოლოთ მკვდარ მასალას აძლევს. ბუნების სავსე სუფრიდგან კელა დინდგელს აკეთებს, ფუტკარი თაფლს, ნეხვის ჭია კი სასუქს აგორგლებს, თვითეული მათგანი მოქმედობს თავისი შინაგანის მოთხოვნილების შესაფერად. მით უმეტეს ეს უნდა ითქვას კაცზე, რომლის მოთხოვნილებანიც აურაცხელნი არიან და დაუკმაყოფილებელნი და ამავე დროს იმდენად მრავალგვარნი, რომ რაც ერთისთვის ჭირია, მეორეს აღხენს, რაც ერთის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, მეორისას ამშევს. ამით აიხსნება, რომ ერთს და იმავე ცხოვრების პირობებში ზოგნი მზრუნველი დედის კალოზედ ჰგრძნობენ თავს და ზოგნი ობლათ ან დედინაცვლის ხელში.

იმ დროს, როდესაც ჩვენი პოეტი თვალ ცრემლიანი ვიდოდა და „მაშვენი“ ვერ ეპოვნა, განა მრავალნი მისი თანამედროვენი იმავე სოციალურ და პოლიტიკურ პირობებში დუდუკს არ დამღეროდენ„ ლოთებო ნეტავი ჩვენა, დღეს მოკვეცა შვებ ლხენაო და ტკბილათ არ ატარებდენ წუთი

სოფელს? ბარათაშვილი კი არა. აი ესენი იყვნენ შვილნი სოფლისანი, და თავისებურათაც ესმოდათ მშობლისა. აი ვინ იყვნენ გადამკვდარნი თავის დროის ცოცხალ მოტივებზე? ბარათაშვილისათვის კი ეს სოფელი დედინაცვალი იყო. მის სულის კვილს არ აყუჩებდა. მისი ენა არც კი ესმოდა. ჩვენი მგოსანი ობლათ ჰგრძნობდა თავს, გულის ნადები ვერავისთვის გაეზიარებინა, თავშესათარი სავანე ვერ ეპოვნა, მისი სული ურვა-სევდით იყო მოცული. აი რას სწერს თავის დას ერთ წერილში: „კიდევ მომნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი სიამოვნება რა არის ამ სამყაროს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ... სიცოცხლე მომძაგებია ამდენი მარტოობით, შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობის, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდე ვერვის მიკარებია, მაინც კიდე ობოლია ამ სავსე და ვრცელ სოფელში!“ ასეთ უსაგნო ადამიანზე განა ითქმის, რომ გადამკვდარი იყო თანამედროე ცოხოვრების მოტივებზედაო?

თუ გვსურს შევიგნოთ რათ იყო ბარათაშვილი ობოლი და რათ ვერ ეპოვნა „ხვედრი“ ანუ საგანი ცხოვრებისა, საჭიროა ვიცოდეთ რა იყო მისი სულის უმძლავრესი მოთხოვნილება, რომელსაც გარემოება ვერ აკმაყოფილებდა.—ცხოვრების პირობები არ შეესაბამებოდნენ. ამისათვის უნდა მოვძებნოთ მისი სევდის სათავე, მისი ურვის წყარო. ამას ვპოულობთ მის ლექსში „ხმა იდუმალი.“

ამ ლექსიდან ვიგებთ, რომ პოეტის ნაღველის წყარო შინაგანი იყო და არა გარეგანი; თანდაყოლილი და არა დანახვედრი ცხოვრების პირობებში:

„რა გსტან ბირგვლად წუთი სოფელი...
მას აქვთ ხმა რამ თან სდევს ეოველთა
ჩემთა ზრახვათა და საწადელთა.
ტანდათ თუ სიზმრად, იგი მე მარად.
სულ ერთსა მითხზავს გულისა სენსა.
—ეძიე ურმაო შენ ხვედრი შენი,
ვინძდო ითხოვო შენი მაშვენი:

ესმის ბარათაშვილს ეს სოკრატის დემონისებრივი ხმა, მაგრამ არ იცის ვისია! ეს ხმა რომ ცხოვრების ნივთიერ პირობებს ნაკარნახევი ყოფილიყო, მთქმელს დაინახავდა. მაგრამ იგი უხილავია! ამიტომ პოეტი აღელვებული ჰკითხავს:

„ვისი ხმა ხარ ეს საკვირველი,
რად აქვს გულს ესე ჩემი ნადველი?

თუმცა შინაგანია ეს ხმა, მაგრამ ჩვენი მგოსანი არ სცნობს მას თავისად, რადგან არ მოისმის მისი ნების ყოფისა და შემეცნების არემარედან. ბარათაშვილმა იცის, რომ კაცში არის ასეთი უცხო ძალი, რომელსაც სვინდისის მხილებათ უწოდებენ, მაგრამ იგი იჩენს ხოლმე თავს მხოლოთ დანაშაულობის დროს, ბარათაშვილი კი არ სცნობს თავს დამნაშავედ არაფერში:

„ნუ თუ ხმა ესე ხარს ხმა ღვენისა
შეუწყალისა სინიდისისა?
მაგრამ მე ჩემში ვერ ვხოვებ ავსა,
მის საშფოთელსა და საქენჯნავსა!“

სჩანს ეს ხმა სხვა რამეა, თუმცა ისიც სვინდისის მსგავსათ პიროვნების გარეშე—მეტაფიზიკური. ამიტომ დიდ მნიშვნელოვან და საბედისწერო უნდა იყოს.. აი რისთვის ჰკითხავს ხელახლად აღელვებული:

„ანგელოზი ხარ მფარველი ჩემი,
ან თუ ეშმაკი მატყუარი ჩემი.
ვინცა ხარ მარქვი რას მამისწავებ,
სიცოცხლეს ჩემსა რას კანუმზადებ?
რას ვცნა მე შენი საიდუმლობა,
რაზ მხვდეს ამ საფლად ჩემი წიდობა.“

ბარათაშვილი წინასწარ ჰგრძნობს, რომ თვის ხვედრს ვერ ჰპოებს, და ურვას ვერ გაინელებს.

„მაგრამ მე ხვედრსა ჩემსა ვერ ვხოვებ,
და მით კაეშანს ვედარ ვეშორებ.“

ცხადია, იდუმალი ხმა პოეტის სულის უმთავრესი მოთხოვნილებაა. მოთხოვნილება გამოურკვეველი, ობიეკტ გაუთვალისწინებელი. იგი გონებით მიუწდომელია, და საცანური მხოლო ინტუიტურად.

**დიმ. დეკანოზიშვილი.**

(გაგრძელება იქნება)

# სომხური ჰანგები

**სომრი შერცხვენა გაბას ქათიბისა**

(სომხურიდან)

## გამარ ქათიბა
## (რაფაელ პატკანიანი)

სომეხთა სახელგანთქმული ეროვნული მგოსანი.

ბიჭო, რატო მეზობლის ქალს არ ითხოვ?—დაიკარგოს, რავდენჯერ ვნახე, ფეხშიშველაო,—სწორედ ასეა ჩვენი, სომეხთა და თათართა მწერლობის საქმე.

ცხადზე უცხადესია, რომ ჩვენ შორეულ, უცხო ერთა მწერლობა უფრო კარგათ ვიცით, ვიდრე ჩვენივე მეზობლების სიტყვებისა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩვენს მუდამ კეთილმოსაგონარს გაბრიელ უნდუკიანს და რაფფის.

ჩვენთვის-კი მეტად საჭიროა ჩვენი მახლობელი მეზობლების მწერლობის შესწავლა, მათი საუკეთესო მწერალთა სულის კვეთების გაცნობა. მაშინ უფრო შევიყვარებდით ურთიერთს.

სწორედ ამ მიზნით მოუწოდებთ ყველას, ვისაც შეუძლიან სომხურიდან თარგმნა, გვითარგმნოს სომეხთა ცნობილი მწერლების ნაწარმოებნი.

ამ ჟამად ვბეჭდავთ სომეხთა სახელგანთქმულ მგოსნის გამარ ქათიბას (რაფაელ პატკანიანის) ლექს, ილია ჭყონიას მიერ თარგმნილს (ერთი მისი ლექსი დაბეჭდილი გვქონდა გაზ. „ხალხის თავისუფლებაში“ 13).

ამ ლექსიდანაც თვალ ნათლად სჩანს, რ. კეთილ-შობილური ჰანგებითაა გაჟღენთილი სომეხთა საყვარელი მწერლის ნაწერი და იგი რავდენად ახლოა ჩვენს სულთან და გულთან.

შემდეგ ნომრებში სხვა მწერალთა ნაწერებს დავბეჭდავთ.

**იოსებ იმედაშვილი**

ჭკვიანი ხარ ვაჭარი, გიყვარს ყაირათიცა,
ამბობენ, რომ ბევრი გაქვს ქონება, ფულებიცა.
მარა, თუ იმ ფულებით არასა რგებ სომხეთსა,
ღმერთმა შენ შეგარცხვინოს და შენი ფულებიცა!

მამაცი ხარ, გვსმენია, დიდი კაცი ბძანდები,
ძლევამოსილს გიხმობენ, მოწმობს ბრძოლის ველიცა,
არა, თუ შენი ხმალი არასა რგებს სომხეთსა,
ღმერთმა შენ შეგარცხვინოს და ის შენი ხმალიცა!

ყველამ ვიცით, რომ ნიჭით ზეგარდმო ხარ ცხებული,
პოეტი ხარ, გათქმული, გაქვს ქვეყნათ სახელიცა.
მარა, თუ შენი კალმით არასა რგებ სომხეთსა,
ღმერთმა შენ შეგარცხვინოს და შენი კალამიცა!

ოჯახი აიშენე შენი შორსმხედველობით,
სახელგანთქმულ თავადსა ყავხარ მეგობრათაცა.
მარა თუ შენი ჭკუით სომხეთს არ ასარგებლებს
ღმერთმა შენ შეგარცხვინოს და ის შენი ჭკუაცა!

მარჯვე და ხელოვანი ღმერთმა მოგცა ხელები,
ბევრი ლამაზი ნივთი შენ გაქვს განაკეთები,
მარა, თუ იმ ხელებით სომხეთს არ ასარგებლებ,
ღმერთმა შენ შეგარცხვინოს და ის შენი ხელები!

ზეცამ შენ მოგანიჭა წყალივით მჭევრი ენა,
აგრეთვე გათქმული ხარ, ვით პროპაგანდისტიცა,
მარა, თუ შენი ენით არასა რგებ სომხეთსა,
ღმერთმა შენ გარცხვინოს და შენი ენა მჭევრიცა!

დაგაფასებთ და პატივს შენ მხოლოთ გცემთ მაშინა,
პატიოსნათ მიგიჩნევთ ყველა, მეც, ჩემდა თავათ,
როცა გვეცოდინება, რომ აკვნიდან კუბომდე
შენ მიგიჩნდა სომხეთი ერთათ-ერთ საესავათ!

**ილია ჭყონია.**

913 წ. ს. ზეშოთადასი.

1

**ბრ.** (დგება შერცხვენილი და იტირის)

**ფრ. კეტ.** (სდგას შუაში მაკიდის წინ) ბატონო ბრაუნ, თქვენ შეურაცხყოფა მიაყენეთ.

**ბრ.** (დარცხვენილი იდიმება. შემდეგ რიხიანად, თავხედურად) რას ვიზამ... განა ჩემი ბრალია, რომ სიკეთილივით მეჯავრება და მძაგს ყოველივე ორგულობა და ორპირობა.

**ფრ. კეტ.** თქვენ უსამართლონი ხართ.

**ბრ.** რათა?

**ფრ. კეტ** არ ვიცი... გამოთქმა არ შეიძლიან, მაგრამ... იოჰანესი პატიოსნურად იბრძვის.

**ბრ.** ნეტა ვიცოდე რა დროდან დაემართა ასეთი გულმოსულობა, ღიზიანობა.

**ფრ. კეტ.** იმ დროიდან, როდესაც ნათლობის შესახებ დავიწყეთ ლაპარაკი.. მაგის მაგიერათაც მე მიხაროდა... და ამ საკითხის აღძვრამ კი იოჰანეს სულის სიმშვიდე დაუკარგა... განა ღირდა ამის გამო მოხუცებულების განაწყენება... არა... ეს შეუძლებელი იყო. წარმოიდგინე რა კეთილმორწმუნე ქველმოქმედი ადამიანები არიან. მართალს არ ვამბობ ბრაუნ?.. თქვენ ხომ მეთანხმებით?

**იოჰანეს** (შუშებიან კარებს შემოაღებს, შემოდის ოთახში და ხმა მაღლა ამბობს) ყმაწვილებო! მეაუტანელი ვიყავი, მაგრამ ეხლა ყველაფერი დავივიწყოთ, გავმხიარულდეთ! მე ყველაფერმა გამიარა! (ბაღში კვდის)

**ბრ.** ცხვარსავით სულელია. (სიჩუმე)

**ფრ, კეტ** ხანდისხან საშინლათ მებრალები. (სიჩუმე) მოხუცი ფოკერატი და პასტორი კოლდინი კამოდიან კაბინეტიდან და თან კიცხარებით დაპარაკობენ. ფოკერატი სამოცი წლისაა, ჭაღარა შერეული, თმა-ქერა, წვერი აქვს. პირზე და ხელებზე ჭორფლი აურია, საკმაოდ მსუქანი და მხარ ბეჭიანი, წელში ცოტა მოხრილი და ტმუკვით, მოკლე ნაბიჯით დადის. საშინელი მოსიუკარული და კეთილი კაცია. მხიარული და კეთილბრიყვი ხასიათი აქვს. პასტორი კოლდინი სამოცდაცამეტი წლის მოხუცია. თავზე პატარა შავი ქუდი ხურავს. ბურნუოს ეწევა).

**ფოკე.** (პასტორი ხელჩაკიდებული კამოჰყვავს. დაპარაკობს ტკბილი, ჩახრინწული ხმით, დიდათ გმადლობ გერ პასტორ. გმადლობ სამაგლითო გაეხნევ ბისათვის, ე, დიახ, სული გამიმტკიცდა,. დიახ, დიახ. შენ აქა ჰყოფილხარ, ჩემო ძვირფასო გოგოცუნავ (მიდის კეტესთან; ეხვევა და ჰკოცნის) ჩემო საყვარელო, ძვირფასო კეტე, სულითა და გულით გისურვეფ ყოველ ბედნიერებას (ჰკოცნის) მოწყალე ღმერთმა ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა თავისი უსაზღვრო გულკეთილობა ე... დიახ, თავისი უსაზღვრო მადლი. დიახ,. მადლი და მოწყალება მისი უსაზღვრო, დიახ ადვილად დაბადებულს გადააფარებს თავის მოწყალების კალთას. დიახ, (ბრაუნს) გერ ბრაუნ, ნება მიბოძეთ თქვენც მოგილოცოთ (შეამოდის იოჰანესი). შენც, მოხვალ ჩემო ძვირფასო იოჰანეს? (ეხვევა და ჰკოცნის, სიხარულისაგან თითქმის სტირის) შენ მაგივრათ მე მიხარიან. (ჰკოცნის) სულითა და გულითა ვარ მოხარული, არ ვიცი რანაირად შევსწირო მადლობა უფალს ღმერთს,,. ე.:. დიახ. ე, დიახ...

**პასტ. კოლინი.** (ოდნავ თახთახებს ჩქარაჩქარა სუნთქავს, დიდებულად ირთმევს ხელს კეტეს) მადლი უფლის ღვთისა იყოს თქვენზე (სედს ირთმევს იოჰანესს) განუსაზღვრელი უფლისა ღვთისა ჩვენისა.

**ფოკერ.** ბატონო პასტორო, აბა ეხლა ურიგო არ იქნება ცოტა შევნაყრდეთ. რა უფრო გიამებათ, ჰა?

**იოჰან.** ბატ. პასტორი, რასაკვირველია მიირთმევს ერთ ჭიქა ღვინოს. მეამ საათშივე ერთ ბოთლს...

**პასტ. კოლინი.** გეთაყვა, უცერემონიოთ, გესმით! უცერემონიოთ, გთხოვთ..

**იოან.** რომელ ღვინოს მიირთმევთ? თეთრს თუ...

**პასტ.** რომელსაც მოიტანთ სულ ერთია გეთაყვა ნუ მერიდებით, გამიგონეთ! უცერემონიოთ, გევედრებით, უცერემონიოთ (იოჰანესი კვდის) მინამ მე (თავის ნიკოებს ეძებს—შდიპა, პადტო, გრძელი შდედი კარებთან კიბოზეა ჩამოკიდებული)

**ფოკერ.** წასვლას ხომ არ აპირებთ, ბატ. პასტორო?!

**პასტ.** ქადაგება და ე, დიახ თქვენ დაგავიწყდათ ქადაგება! ე, დიახ! ხვალ ჩემს მაგიერ ვინ იტყვის ქადაგებას?

**ბრ.** (პასტორსა შვედის პალტოს ჩაცმას)

**პასტ.** (პალტოს იცვამს) გმადლობ, ყმაწვილო!

**ფრ. კეტ.** იქნება გვიყოთ მოწყალება ბატ. პასტორო, და დაგვეწვიოთ მცირე სადილზე?..

**პასტ.** (ისევ ჩაცმაშია) დიდათ გმადლობ ძვირფასო ფრაუ ფოკერატ, მაგრამ ჩემი ქადაგება...

**ბ. ფოკ.** ძვირფასო პასტორო, ჩვენი სიყვარულის გამო მაინც უნდა დარჩეთ. .

**პასტ.** (კუბედაგით) მაგრამ გამიგონეთ, გამიგონეთ რას ვამბობ!..

**ფოკ.** ყველან რო შეგეხვეწნეთ?

**პასტ.** ღვთის სიტყვა და? ხე...ხე... საყვარელი სიტყვა ღვთისა, რომელიც ხვალ უნდა ვიქადაგო, დიახ, გესმით.. ვიქადაგო.. სიტყვა ღვთისა. ხვალ. (იოჰანესი ბრუნდება, დვინოს ასხამს)

**ფოკერ.** (იდებს ჭიქას) აბა, ჯერ პირველათ... იმედი მაქვს უარს არ იტყვით!

**პასტ.** არა, არა! როგორ შეიძლება. გამიგონეთ რას გეტყვით, დიახ, ღმერთმა აცოცხლოს ახლად მონათლული (უფროსნი ჭიქებს აწკარუნებენ). ვისურვოთ, რომ იგი შეიქმნეს ქეშმარიტი და მართლმორწმუნე შვილი ეკლესიისა და მორჩილი უფლისა ღვთისა ჩვენისა!...

**ფოკ.** იყოს ნება მისი.

**იოჰ.** (პასტორს სიკვარას შესთავაზებს) თქვენ ხომ მეწვევით ბატ. პასტორო.?

**პასტ.** გმადლობთ, დიახ!. (იდებს სიკვარა და ბოდოს აჭრის) გმადლობთ. (ინთებს სიკვარს იოჰანესისგან მოწვდილ სანთჩაზე) ჰ. ჰ. ჰ. (სტდიდობს კარაბადოს, ბოდოს აჩადებს, ოთახს ათვალიერებს) ურიგოთ არ მოწყობილხართ. ჰ.. ჰ.. ჰ.. მშვენივრათ, დიადე! გამიგონე (აქეთ იქეთ იეურება. სურათებს ათვალიერებს, ჯერ საერთოდ და მერე სათითოდ. შემდეგ ჩერდება ამ სურათის წინ, რომელზედაც იაკობის დმერთთან ჭიდაობა დახატული) არ გაგიშვებ. ჰ.. ჰ.. ვიდრე არ მაკურთხებ (რადგანს სიამოვნებით ბუტბუტებს).

**ფრ.** (ტოტა მოხათრებით) მამილო, მე მინდოდა თქვენთვის მეთხოვნა... ბალში ეხლა მშვენივრობაა იქნება გაცილებით უფრო თბილა, ვიდრე ოთახში, იქნება ბატ. პასტორთან ერთად გამოიაროთ იქითკენ. მე ვუბრძანებ, რომ ჭიქები იქ მოგართვან.

**პასტ.** (მიდის მეცნიერების სურათებთან, რომლებიც წიგნების შკაფთანა ჭკიდია) ჭრელი კამპანია! ესენი უთუოდ ჰ... ჰ..თქვენი მასწავლებლები არიან ბატ. ექიმო, არ?ა

**იოჰ.** (ტოტა დარცხვენით) დიახ... ე. ი. დარვინის გარდა, რასაკვირველია...

**პასტ.** (ძალიან აკვირდება სურათებს) დარვინია? დარვინია? დი... ახ, დარვინია. აბა, რასაკვრელია, რომ.. მ.. ყური დამიგდეთ (ჩათვლითა კითხულობს) ჰერნს ჰეკკელი, მისი საკუთარი ხელით დაწერილი! ჰ... ჰ... (დაცინვის კილოთი) მაშ, აი ვინა ყოფილან თქვენი მასწავლებლები!..

**იოჰან.** (სწრაფით კაცხარებით) დიახ., მე ამითი კიდევაც ვამაყობ, ბატ. პასტორო!.

**ფოკ.** კეტე მართალს ამბობს, ბატ. პასტორო, გარეთ უფრო თბილა, თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით, ჭიქებსაც და ღვინოსაც ბალში გავიტან.

**პასტ.** რასაკვირველია... ჰ.. ჰ.. საუცხოვოა.. ჰ.. ჰ.. მაგრამ, მომისმინეთ. ერთ წუთზე მეტს ვერ დავრჩები, დიახ! (ფოკერატთან ერთად კიდის კანაწუინებული) ეგ კაცი, ბატონებო, ობერ-ამტმანია ჰ.. ჰ..*) სრულებით ალარ წარმოადგენს ღვთის ხატებას ჰ.. ჰ.. გამაგონეთ. მაიმუნია. ჰ.. ჰ.. დიახ, მე მინდოდა მეთქვა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერება იმ დასკვნამდის მივიდა.., შუაბანდში გადიან, ორთავენი გაცხარებით ლაპარაკობენ, ხელების ქნევით, და ბალში ჩადიან.

**ბრ.** (თავისთვის იცინის)

**იოჰან.** რა გაცინებს?

**ბრ** რა მაცინებს? ისე, მიხარიან!

**იოჰან.** გიხარიან?

---

*) ამტმანი—ოლქის უფროსი (გერმანიაში).

**ბრაუნ.** რატომაც არაო?

**იოჰან.** დამეხსენ, დამეხსენ! (ბოდთას სტემს ოთახში. ამფიოხრებს და ბოდთს მიუბრუნდება კეტეს, რომელიც ოთახიდან გასვლას აპირებს) გულახდილათა სთქვი,— მე დღეს ხომ ცოტასა ვშარობდი?

**ფრ. კეტ.** დიახ, ცოტას.

**იოჰან.** (მხრების აჩეჩვით) დიახ. რას იზამ, ყველაფერს საზღვარი აქვს, მე არ შემიძლიან მოვითმინო, როდესაც განგებ ხელს წამომკრავენ..

**ფრ. კეტ.** მაგრამ საწყენი არაფერი არა თქმულა

**იოჰან.** როგორ თუ არა?

**ფრ. კეტ.** ვინ იცის, იქნება იმას არაკი უნდოდა ეწყენინებია.

**იოჰ.** (ბოდთას სტემს, თავს იქექავს) უნდა ეფიქრა რომ ჩემთვის სასიამოვნო არ იყო.

**ბრ.** საბაბს ეძებ შარის ასატეხათ.

**იოჰან.** (გაჯავრებული) დასწყევლოს ღმერთმა, რატო არ მასვენებენ?! ყველაფერს საზღვარი აქვს! თუ კი მოთმინებიდან გამოიყვანენ..

**ბრ.** ძალიან სისულელეა...

**იოჰ.** თქვენ კიდევ ბრმა მიმდევარი ხართ თქვენივე თეორიისა, მეტი არაფერი. მერე რა გამოვა იქიდან, რომ ამ მოხუცს პირში მართალი ვუთხრა? აი მე რას გეტყვი: როდესაც ამისთანა კითხვას მივცემ ხოლმე ჩემ თავს, უცბად ვმშვიდდები: ჩემთვის მაშინაც ეგ ნათელი ხდება, რომ ამისთანა კაცზე ჯავრობა და აზვირთება — სწორედ ბავშვობაა. ეს იმასა ჰგავს, რო კაცი გაჯავრდეს — ფიქვს რაღაც ხიწვების მაგივრად რატო ფოთლები არ ასხიაო: მე ამას გეტყვით, ყმაწვილებო, რომ კაცმა ყველა საგანს უფრო ობექტიურად უნდა უყუროს.

**ბრ.** მეცნიერებაში—არ შემოგედავები. მაგრამ ცხოვრებაში კი არასოდეს.

**იოჰ.** ნეტა იცოდე ყოველივე ეს როგორ მაღელვებს! (თან წინ და უკან დადის მარდათ)

**ბრ.** (ფეჩს მოშორდება. სტოდთან და ბაბირაზის ნაშწვს საფურფლეში ჩაკდებს) შენა გგონია რო მე მესიამოვნება? მეც ვერა გამიკვლევია რა შენსავით, მაგრამ ამის გამო ღრიალისა და ოხვრა-გმინვისაგან ღმერთმა დამიფაროს...

**იოჰან** (კიდოს იტყდის, სვდით). კმარა კმარა, ჭკუიდან ნუ იშლები! კრინტიც არვის დაუძრავს იმის შესახებ, რომ მუდამ ვიოხროთ და ვიგმინოთ. დრო გამოშვებით კაცი ამოიოხრებს აბა ეგ რა სათქმელია!. ხანდისხან ჰაერი არა მყოფნის, აი რა არის მიზეზი .. ჩემი მდგომარეობა არც ისე ცუდია, და მე უფრო შორსა ვარ გაკოტრებაზე ვიდრე, მაგალითად, შენ...

**ბრ.** ადვილი შესაძლებელია.

**იოჰან.** შენ ხასიათის ამაღლება-გამტკიცებაზედა ვარჯიშობ.

**ბრაუ** არც კი მიფიქრია.

**იოჰან.** ზნეობრივი გაკოტრება. რა არის საზოგადოთ რომ ვთქვათ, გაკოტრება? გაკოტრებასთან შენ ჩემზე მეტად არ ხარ დახლოვებული.. მაგრამ უკეთესი იქნებოდა, რო მოხუცებულებს გუნებას არ უფუჭებდეთ.

**ფრ. კეტ.** (ეხვევა იოჰანეს) იოჰანეს, ნუ ჯავრობ, გუნებას ნუ იხდენ.

**იოჰან.** უსაქმობაც მაწუხებს. აგერ მთელი ორი კვირაა, რაც საქმისათვის ხელი არ მომიკიდნია.

**ბრ.** მშიშარა ხარ. აი რას გეტყვი. არ გინდა ჩაუკვირდე რაც წვრილმანია.. თორემ.

**იოჰან.** რა თორემ?

**ბრ** დიახ, თორემ, მაგალითად...

**იოჰან.** ბრაუნ.

**ფრ. კეტ.** გულს ნუ იფუჭებ, ჰანეს! ეხლა პატარა ფილიპეზე იფიქრე, ამ ზამთარს ჩავიკეტეთ სახლში და ვიყვნეთ ლამაზათ. მაშინ შენი მუშაობაც თავის დონეზე დადგება

**იოჰან.** იცი ბრეო, მევოთხე თავი უკვე დავამზადე.

**ბრ.** (გულ გრილად.) მართლა?

**იოჰან.** შემომხედე. რა ხელთ ნაწერია! თორმეტ გვერდზე მარტო წყაროები ჩამოთვლი. პატარა შრომა კი ნუ გგონია! გარწმუნებ რო მეცნიერებს პარიკებზე თმა ალხზე შეუდგებათ!..

**ბრ.** მჯერა.

**იოჰან.** აქეთ მოიხედე (**ბდის კედ ნა-**

წერს) მე აქ დიუბუა — რაიმონსა ვცოცხავ.

**ბრ.** გამიგონე .. ეხლა ნუ წაიკითხავ ამ საათში რაღაც ცუდ გუნებაზე ვარ, მოწყენილად.. სხვა დროს იყოს.

**იოჰან.** (მორჩილებაი) აბა, რასკვირველია, ამ ჟამათ წაკითხვა მაინც არ მდომებია... მე..

**ფრ.** ჩვენ ეხლავე სუფრაზე დავსხდებით.

**კეტ.** აბა რასაკვირველია, მე ეგ არც კი შეფიქრია, მე მხოლოდ. (ამოიოხრებს და ხელთ ნაწერს ისევ შკაფში ინახავს) ა... ახ!

**ფრ. კეტ.** გუნებას ნუ წაიხდენ.

**იოჰან.** კეტე, მე სრულებითაც არ ვიხდენ გუნებას.

**რფ. კეტ.** არა, ჰანეს კიდევ რაღაც გემართება.

**იოჰან.** ახ, ნეტავი ქვეყნიერებაზე ერთი ვინმე მაინც არის მაქცევდეს მცირეოდენ ყურადღებას... მე ბევრი არ მინდა,.- ნეტა მცირედ ნაწილს მაინც აინტერესებდეს ჩემი შრომა-მუშაობა.

**ფრ. კეტ.** შენ ჭკვიანათ იყავ. არხეინათ.·. მოვა დრო და შენს შრომასაც დააფასებენ.

**იოჰან.** იმ დრომდის ღა? შენ გონია უთანაგრძნობოთ შრომა ადვილია? შენ გონია კაცს დიდხანს შეუძლიან აიტანოს ასეთი მარტოობა?

**ფრ. კეტ.** დიხ, მე მგონია რომ შეუძლიან. ყური დამიგდე, ჰანეს, როდესაც შავი ფიქრები შემოგესევა, უნდა ეცადო რომ მალე თავიდან მიიშორო. წავიდეთ... ერთი ბატარა ფილიპეს შეხედე. რა მშვენიერია როდესაც სძინავს, (თავისი ხელზე დადები ანიშნებ სრანაიჩათა წყვს ბავშვი) რა საუცხოოთ ვო მუშტები აქვს... წავიდეთ!·,

**იოჰ** (ენს) შენც მოხვალ?

**ბარ.** აჰ, არა! ჰანს, უნდა გითხრა, რომ ბატარა ბალღები არ მიყვარს. მე ბალში გავიელი (კედის შუაბანდში)

**იოჰ.** ახირებული კაცია.

**ფრ.** (ფრთხილათ ადგებს სწოდის კარებს) ოჰ, რა მშვენიერია! ჩუმათ... ჩუმათ.. (ირიგენი ხელჩაკიდებული კიდიან ფეხის ფრჩხილებზე. ფრუ ფოკერატი და მოსამსახურმ ქალი სუფრასა შლიან ვერანდაზე. ვერანდას ქვის იატაკზე ჩამოტვინილი ჭურჭლის ხმა ისმის. ვიდატამ შეჩერდა. კაფეთრებული მოსამსახურე ფეხმარდათ კამოდის. ფრუ ფოკერატი უკან მოსდევს ჭურჭლით)

**ფრ. ფოკ.** გამიგონე, მინა ეს არაფერს არ ჰგავს! დღე ისე არ გავა, რომ ჰურჭელი არ დაამტვრიო. ეხლა კიდევ ეს საუცხოვო დამიქციე! (მოსამსახურე გასაგად კარებისკენ მიდის) მაიონეზი *) არა, მე მაგისთანა არაფერი დამემართება!. ჩემგან ბევრი რამე უნდა ისწავლოს მოსამსახურემ..

**იოჰ.** (ხმაურობაზე კამოდის სწოდ ოთახიდან) რა მოხდა, დედილო! (ეხვევა და ამშვიდებს) დამშვიდდი, დამშვიდდი.. ნუ სჯავრობ გეთაყვა.

**ფრ. კეტ.** (მოდებულ კარებიდან თავს გამოჭყოფს) რა მოხდა?

**იოჰანესი** არაფერი, არაფერი არ მომხლარა და ეგენიც თავს გადიან.

**ფრ. ფოკ.** არაფერი! ბატონო ჩემს გაუმარჯოს! ხუთი მანეთის ჰურჭელი დაამტვრია, და ეს არაფერია?! მშვენიერი მაიონეზი უფრო მენანება! ახ!. (ითჭანეს იშორებს)

**იოჰ.** დედილო, დედი.. ერთხელ ნუღა გვეკნებაე მაიონეზი. ახლა მაგით რა დაგვიშავდება .

**ფრ. ფოკ.** არა ჩემო კარგო!.. თქვენ ძალიან განუსჯელათ იქცევით. მე გადასაყარი არა მაქვსრა. თქვენ ძალიან ბევრს უთმენთ მოსამსახურებს (ნამტრეგებს ჭკრეფს).

**იოჰ.** აბა მაშ რა ვქნათ? მთელი დღე ჰურჭელს ეპიდება და....

**ფრ. ფოკ.** მე ხომ მტარვალი არა ვარ. ექვსი შვიდი წლობით მოსამსახურეები თავს არ მინებებდენ... მაგრამ თუ კი გაუტყდებოდათ რამე, უთუოთ გადავახდევინებდი. სხვა ნაირათ არ შეიძლება... მაგრამ თქვენ ხომ ნალბითა და ხიზილალითა ჰკვებავთ მოსამსახურეებს!.. ახალი იდეები... ვიცი, ვიცი. მაგრამ ჩემთვის ეგენი საჭირო არ არის დადათა გმადლობ; გესმის თუ არა!;.

**იოჰ.** (მხიარულად) დედი, დედი, დამშვიდდი, ნუ სჯავრობ!

# ხაშმელი გლეხები ბრძოლის ველზე

1. იოსებ ანდრ. 2. კოტე გიორ. 3. ალექ. იაკობ. 4. შაქრო ივან. 5. თედო თევდ-
გონიტაშვილი ტყვედ ქოქრაშვილი ოღრაპიშვილი გერ- ორაშვილი ავსტ-
არიან. დაჭერილია მანიაშია ტყვედ რიაშია ტყვედ

## ალექსანდრე უბედურიძე.

მძიმე პირობებში მოუხდა ცხოვრება ახალ-გაზდა თავადს ალექსანდრე უბედურიძეს. მამისაგან, რომელიც ერთს დროს შეძლებულ მემამულეთ ითვლებოდა, დიდი არაფერი დარჩენია; პურ-ღვინოს მოყვარული კაცი იყო სულ-ცხონებული, და მისი სიმდიდრის დიდი ნაწილი ლხინსა და ქეიფში გაფლანგა. კუჭის მსახურებამ ბოლოს და ბოლოს ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო, რომ ერთათ ერთი შვილი ალექსანდრე გიმნაზიიდან გამოიყვანა ხელ-მოკლეობის გამო,—მიუხედავათ იმისა, რომ ბავშვი კარგათ სწავლობდა. მოხუცებული თავადი იმ დროს გარდაიცვალა, ჩვენში გამთავისუფლებელი მოძრაობის სიომ რომ მძლავრათ დაჰბერა. მოკლე ხანში საყვარელი მეუღლეც თან წაიყვანა. ოცდა ერთისა თუ ოცდაორი წლის ალექსანდრე აბობოქებული ზღვის მძლავრს ტალღებს თუმცაღა უვნებლათ გადაურჩა, მაგრამ მისი ცხოვრების ჩარხი, ერთხელ რომ უკუღმა გადბარუნდა, აღარ შეჩერებულა. გამოუცდელმა ყმაწვილმა დროს ალღო ვერ აუღო, რომ მას შეგუებოდა; შრომა სათაკილოთ მიანჩდა, ხოლო მამულიდან ისე ცოტა შემოსავალი ჰქონდა, რომ გაურჯელათ თავის რჩენა შეუძლებელი იყო. თავადმა ხელი მიჰყო მიწის ნაჭრათ გაყიდვა-დაგირავებას, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ეგ საქმეს ვერ უშველიდა,—პირიქით, მოკლე ხანში სულ ულუკმა-პუროთ დარჩებოდა.

საჭირო იყო სხვა გზის გამონახვა.

მახლობელ დაბაში ცხოვრობდა ალექსანდრეს მამის ნაყმევის შვილის შვილი, რომელსაც ალებ-მიცემობის საშვალებით დიდ-ძალი ქონება შეეძინა; მას ჰყავდა ერთათ-ერთი მემკვიდრე—მეტათ ლამაზი და ეშხიანი ქალი. ალექსანდრეს თავიდანვე ეჭირა მასზე თვალი, მაგრამ ვერ ამხელდა: ეშინოდა—უგვარო ქალი რომ შევირთო; დამზრახავენო.

სიმშილისა და სრული დაცემის აჩრდილმა გადალახა საუკუნოებით ძირგამაგრებული ტრადიცია.

—ბატონო ნიკო! თავად ალექსანდრე უბედურიძეს განზრახვა აქვს თქვენი სიძე გახდეს.

—დაგვიანებული ბედნიერებაა ჩემო კარგო, ორონიული ღიმილით მიუგო ვაჭარმა მოციქულს; ჩემი ქალი უკვე დანიშნულია ერთ ინჟენერზე. ამ დღეებში ჯვარსაც დაიწერენ.

ამრიგათ, თავის დამცირებამაც ვერ უშველა სასო-წარკვეთილებაში მყოფ თავადს.

იმ დღის შემდეგ მას ხასიათიც სრულებით გაუფუჭდა... ხელი მიჰყო ღვინის სმასა და ბანქოს თამაშს; დაუმეგობრდა სხვა და სხვა რიგის შანტაჟისტს მოაწყო ფოსტის გაცარცვის საქმე და სხ.

ბუნებით კეთილი ახალგაზდა გრძნობდა, რომ ის დაეცა, გათახსირდა, არა-რათ იქცა.

გულის სიღრმეში დაგუბებულ ბოღმას სიმწარალის დროს ამოანთხევდა ხოლმე: მთელი საათობით ტიროდა და ილანძღებოდა; იწყევლიდა გაჩენის დღეს, ზრახვიდა ღმერთსა და მის სამართალს, ულირსათ იხსენიებდა მშობლებს... განსაკუთრებით მამას ემდურებოდა: ის მიანჩდა მთელი თვისი უბედურების მიზეზათ.

—მისმა, მისმა გაუმაძღარმა კუჭმა მოინელა ჩემი ბედნიერება! კბილების კრაჭუნით ატყოდა ის, არსებობისთვის ბრძოლაში სრულიათ გამოუსადეგარი! ოხ! ნეტავ ერთი ცოცხალი იყოს და სხვა არა მინდა რა... ღორივით გამოვჭრიდი ყელს!

ალექსანდრე კარგათ ხედავდა, რომ თანამედროვე ხანში არსებობის უმთავრესი წყაროს სიმდიდრე და შრომა წარმოადენდა; მაგრამ პირველი მას არ ჰქონდა, ხოლო მეორეს არ კადრულობდა და შეუჩვეველიც იყო ინტელიგენტურ მუშაობას შემდეგაც ადვილათ შეურიგდებოდა, მარა საიისო ღისკოდნა მას არ გააჩნდა,..

მაშ როგორც უნდა დაეღწია თავი იმ წუმპესთვის, რომელშიაც ის ღრმათ მოჰყყა და რომლის სისაძაგლესაც მთელი თავისი არსებით განიცდიდა ბედ-კრული?

არ სჩანდა გზა ხსნისა.

მოულოდნელათ აენთო მსოფლიო ომის ცეცხლი.

—აქ არის ყემი ხსნა! წამოიძახა თავადმა, და სახეზე იმედის სხივი აუთამაშდა.

მეორე დღესვე ჩაიწერა მოხალისეთ ერთ-ერთ ცხენოსან პოლკში, რომელიც იმ დლეებაში ფრონტზე იგზავნებოდა.

ამაში ალექსანდრემ საოცარი სიმამაცე გამოიჩინა. ერთი წლის განმავლობაში მიიღო უფროსი უნტერ ოფიცრობა და გიორგის სამის ჯვარი ერთიც კიდე და... აფიცრობას უბოძებდენ. იგიც ამ მიზნისკენ მიისწრაფოდა; მოუთმენლათ ელოდა მარჯვე შემთსვევას..

ღამის ცხრა საათი იქნებოდა, როცა პოლაკში ბრძანება მოკიდა:—მტრის დაზვერაა საჭირო და ვინა ხართ მსურველიო?

ალექსანდრე პირველათ ჩაეწერა მსურველთა სიაში.

გათენდა. მთის გადაღმით ლაღათ ამოცურდა ცხრა თვალა მზე. ქვეყანა გათბა, გაცოცხლდა. „პრაპორშჩიკმა“ ჯარმა მზვერავთა რაზმი ნაწილებათ დაჰყო და აქა იქ დააყენა, თვითონ კი ალექსანდრეს თანხლებით ვიწრო ბილიკი აიარა, მაღლობს თავზე მოექცა და მჭიდან დაუწყო თვალიერება ახლო-მახლო იდამოებს...

—თქვენო კეთილშობილებავ!.. აი იქ... „პრაპორშჩიკმა“ გახედა ჯარის-კაცის მიერ აჩვენებ ადგილს და ნათლათ გაარკვია მტრის აფიცერი, რომელიც კოდის ნამტვრევზე ჩაომომჯდარიყო და სთვლემდა.

—ახლო-მახლო სალდათებიც იქნებიან არ კარგია, რომ დავატყვევებდეთ!

—თქვენო კეთილ შობილებავ, მოვკლათ აფიცერი, და უთავოთ დარჩენილი ჯარისკაცები ადვილათ დაგვნებდებიან.

კარგი დაგემართოს, მაგრამ ახლო მიკარება სახიფათოა... გაიგებენ.

—რა საჭიროა, თქვენო კეთილშობილებავ, როცა აქიდანაც მიუწვევს. თქვენ ოღონ გვიბრძანეთ.

—შორი მანძილია ძნელია ნიშანში ამოღება... ასცდება და ტყუილათ დავაფრთხობთ.

—ნება დამრთეთ, თქვენო კეთილ შობილებავ, და, თუ იმედი ვერ გაგიმართლეთ, აქვე დავხვრიტეთ.

—გადამეტებული იმედი გაქვს მკლავისა და თვალის.

—მენდეთ, თქვენო კეთილშობილებავ?

—კარგი. თუ არ ააცდენ, ჯავრზე წაგარდგენ, წინაღმდეგ შემთხვევაში სირცხვილიც გეყოფა.

ალექსანდრეს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. „ე რა იოლათ გავკეთდი კაცი“-ო, ფიქრობდა ის და ღმერთს მადლობას უძღვნიდა: „დიალოცოს შენიგა ნგება, შენ არ ინებე, რომ დავკარგულიყავიო.

იმედის შუქით სახე გაბწყინვებულმა თავადმა რამდენიმე ნაბიჯი განზე გადადგა, პირჯვარი გადაიწერა, წამოიჩოქა და... თოფი ფეხზე შეაყენა. არასოდეს ასე არ გაძნელებია თავადს რაიმე საგნის,—მით უფრო კაცის,—ნიშანში ამოღება... გულის ძლიერი

ცემა ხელებს უკანკალებდა და თოფის მარჯვეთ დაჭერას ვერ ახერხებდა. ბოლოს, როგორც ივო, დამშვიდდა, დაწყნარდა... ყველაფერი რიგზე მოეწყო. აი,—ნიშანიც მზათ არის და..... ის ის იყო თავადმა კიდეც დააპირა თოფის ფეხის გაშლა, მაგრამ სწორეთ ამ დროს ის უ'ულოთ დაეცა, მტრის ბანაკიდან მარჯვეთ ნასროლი ტყვიით გულ განგმირული...,..

---

მე არ ვიცი—რამდენათ მართალია ყველნი მოძღვრის მტკიცება:—ადამიანის სიკვდილის შემდეგ, მისი სული რამოდენიმე ხნის განმავლობაშა დედა-მიწის პირზე დაჰქრის ღა ყველაფერს ხედავსო. დიახ' არ ვიცი, მაგრამ, თუ ეს მართალია, მაშინ, უეჭველია, ჩვენი თავადის დაუკმაყოფილებელი სულიც ნათლად დაინახავდა—როგორ ეხვეოდა და კოცნიდა სიკვდილს გადარჩენილი აფიცერი მის მხსნელ ჯარის კაცს. თუ მხედველობასთან ერთათ სულს სმენისა და უცხო სიტყვების გაგების უნარიც აქვს, იმ შემთხვევაში უსაზღვროდ გაიგონებდა იმავე აფიცრის სიტყვებსაც:

— ყოჩაღო ჯარ-ს-კაცო! შენ გებოძება უმაღლესი სამხედრო ჯილდო, ხოლო პირადათ მე—ნიშნათ უსაზღვრო მადლობისა—გასაჩუქრებ დიდძალი მამულითა და სვირფასი სახლ-კარათ! d

# შრომის სამეფოში

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 24.)

დიდმა დრომ გაიარა მას შემდეგ, რაც ოლია ქარხანაში მუშაობდა. ამ ხნის განმავლობაში მან დიდ გაჭირვება განიცადა, ჯანმრთელობის მხრივაც გაილახა და ჯერ კიდევ ოცდა სამი წლის ქალი საგრძნობლათ შეიცვალა. ქარხნის ცხოვრებამ მასში ცვლილება მოახდინა, ის სოფლის ქალს აღარ მოგაგონებდა; ლაპარაკიც ისწავლა, სითამამე და გაბედულება დაეტყო და წინანდელი მორცხვობა გაუქრა მიუხედავათ გაჭირვებულ ცხოვრებისა, ის იმედს არ ჰკარგავდა და აწმყოს უბედური ხვალინდელ დღეზე მომავალი ცხოვრების უკეთესათ მოწყობას მოელოდა მას კარგათ ახსოვდა, როცა სოფელს გამოეთხოვა და დედამ რა დაუბარა;

— ჭკუით იყავი, თავს მოუარე, ქალობას სირცხვილი არ აჭამო, მზითვისათვის ფული აშოვნე, ამოხვალ სახლში გათხოვდები და ქმართან კარგათ იცხოვრებთ. პირველად ნატრობდა ამ მიზნის მიღწევას; ელოდა ქმარს, ოჯახს, იტანდა ყოველივე გაჭირვებას, იცავდა ზნეობას, მაგრამ მას შემდეგ გაიარა წელიწადებმა, მიზანი მიზნათ რჩებოდა და პირ იქით ოლია უარესს პირობებში ვარდებოდა...

უქმე დღეები მისთვის მეტათ ძნელი იყო, ის როცა ისვენებდა იჯდა თავის პატარა ოთახში ფიქრებით გატაცებული, აგონდებოდა სოფელი ნაცნობ-მეგობრები დედა, თვისი და-ძმა და ხშირათ ცრემლები ერეოდა... ასეთი იყო მისი დასვენების დღე, მხოლოდ საქმის დღეს ფიქრებისათვის' არ ეცალა, რადგანაც შრომობდა...

მის სიდუმლოებით მოცულ გულში მთავარ როლს თამაშობდა დედის შემდეგი სიტყვები;-„შინ დაბრუნდებ, ქმარს წ. ყვებ და მეგობრულათ იცხოვრებო“ ოლიას ვერ წარმოედგინა, თუ როგორი იქნებოდა ცოლ-ქმრული ცხოვრება, როგორ შეეწყობოდა მას და რა მხრით მიაღწევდა მეგობრულ სიმშვიდეს... მართალია, ის ხედავდა თავის გარშემო ტოლ-ქლრებს, ოჯახურ ცხოვრებას შვილებიან დედებს... ხედავდა აგრეთვე უსაქმო დედებს, მშიერთ ფაბრიკაში მომუშავეთ, გაჭირვებულთ ყველაფერს ხედავდა, მარა მას ცოლ-ქმრულ ცხოვრებაზე ნათელი წარმოდგენა მაინც არ ქონდა და ბუნდოვან ფიქრებში გახვეული გურკვევლი რჩებოდა... მას აგრეთვე გაუკონია ლაპარაკი სიყვარულზე, მარა თვით ოლია ასეთი არაფერი შეხვედრია. მისთვის არავის უთქვამს,-შიყვარხარო.

—ახ, რა, კარგია ბედნიერება მათთვის, ვისაც ქმარი ყავს... არჩენს, მოუვლის, დაიცავს. - იტყოდა ხშირათ თავისთვის ოლია. ნეტაი როგორ მაცხოვრებს ქმარი? მართლა, კარგათ მომივლის, მაჭმევს და ჩამაცმევს?—

ეკითხებოდა თავის თავს და პასუხი არ გაეგებოდა, მხოლოდ ასეთ კითხვებზე, მას მოაგონდებოდა ის შემთხვევები, რომლებსაც ადგილი ქონდა მის ცხოვრებაში: მამაკაცებიდან, მის დამცირების მეტი არ ახსოვსდა, ტკბილი სიტყვების მაგიერ — გინება და ყვირილი... მას ახსოვს, თუ როგორ შეჰკრა სტეფანამ; როგორ გამოეკიდენ ქუჩაში ახალგზდები, ქალაქში მთვრალებმა კინაღამ დმიჭირეს, როგორ შეაძლია ერთმა მიკიტანმა ექვსი შაური და სხვა ასეთები რომლების გახსენებაზე შიშის ერუანტელი დაუვლიდა...

(შემდეგი იქნება).

**ი. ეუეისპირელი.**

# რა ვიცი მე.

**ჭკვიანთა ლომნპთიძის შესახებ?**

(აგრძელება. ის. „თ. დ.“ № 24)

ერთხელ ტარიელ დათუნაშვილი შემოსულიყო მახლობელ დ. ხიდისთავში შუადღეზე, ბაზარში აეარ-ჩაეარა და ვაჭრებისთვის ეყვირა, რომ დუქნები დაეკეტნათ და მისთვის ფულები გამოეტანათ. ერთმა ვაჭარმა რომ არ იცოდა ყურად მისი ბრძანება, მის გულში თოფი დაუმიზნა. ვაჭარმა კანკალით შესძახა:

— გასწი, გასწი იქით!.. ეშმაკია შით: არ გავარდესო.

დათუნაშვილმა მიაყვირა:

— ჩქარა ფული! თვარა თუ გავარდა, სულიც გაგვარდებაო.

მე ამ კომიკურმა ეპიზოდმა ძალიან მომხიბლა.

მე ვნატრობდი, თუ ჩვენსას როგორმე ვინმე ყაჩაღი მოვიდოდა და ბინასა და საკმელს ითხოვდა, მე მივსწვდებოდი მისს თოფიარაღს და ხელში ავიღებდი, და მით განვიცდიდი დიდს სიხარულსა და ბედნიერებას.

ჩემთან, თვალთა წინ არსენაც გამოიჭიმა. ვისმენ არსენაზე სხვა და სხვა ამბებს. მესმის ლექსები არსენაზე. ამღერებენ ჩანგურზე არსენაზე ლექსებს:

„არსენა ოძელაშვილი ო, რა ბიჭია, დელია!

წელში წვრილი და მაღალი, ბეჭებში

ცოტა სკელია!“ და სხვა.

გავიგებ, რომ არსენა „მდიდარს ართმევს, —ღარიბს აძლევს, “გავიგებ, რომ ჩარჩებს შვიდ მტკავლიან არშინს გამოუჭრის და მისცემს; რომ მის დასაჭერად მთავრობაც მისტირის და ზარბაზანს ეძებს ერთის წინაალმდეგ, რომ ორმეტი მოპირდაპირე ერთ ბუზად მიაჩნია; რომ უყვარს გლეხი კაცი; რომ უყვარს გზებზე სუფრის გადაფენა და სხვა, რამდენჯერ, რამდენჯერ მომნატრებია მეც არსენობ, არსენობა თუ არა, არსენას მეათედობა მაინც. ო, რა შემეზიზღა ის წუწკი ლეკი გიორგი, არსენას მკვლელი, ის წუპაკი ისა!.. როდესაც მე კითხვა შევიძელი, კერძო წიგნთა შორის პირველად „არსენას ლექსი“ შევიძინე. კითხვის დროს დიდს აღტაცებაში მოვდიოდი, სურათები გულს მიხარებდა და რა კითხვა დავამთავრე და ბოლოში მომაკვდავი არსენას სურათს დავხედე, მე ცრემლები დამედინა, გულ-მოკლული დავრჩ!..

აგერ ბულარა მამალაძეც! ეს ჭეშმარიტი ხალხური გმირი ჩვენი კუთხისა!.. როცაკი დროს ვიშოვიდი, ყველას ვეხვეწებოდი, რომ ბულარას ამბები ეთქვა ჩემთვის, თუ რამ იცოდა მასზედ. და კიდევაც მესმის ამბები მისი ნამდვილი გმირული მოქმედების შესახებ. მესმის, რომ ბულარა მამალაძე ტანად პატარაა, მაგრამ დაჯილდოვებულია იშვიათის ლონით და ხმის სიმძლავრითაც. მამალაძე სცხოვრობს ბატონ-ყმობის დროს. ბატონები თავინათ ყმებს ჰყიდიან აქარიდან გადმოსულ მდიდარ თათრებზე. ამას ვე ითმენს ბულარა და მარტოდ-მარტო დახვდება მთაზედ კაცით მოვაჭრეებს, დახოცავს და ტყვეებს შინ დააბრუნებს. ერთს დღეს ყანიდან დაბრუნებული ბულარა ნახავს, რომ მთელი მისი სოფელი ტყვედ წაუსხამთ თათრებსო. ის შეიარაღდება და თათრებს კვალში ჩაუდგება; მისდევს. დილას მიაღწევს ერთის მთის წვერზე, სადაც შენიშნავს, რომ მტარვალები სადაცაა, აქ არისო. აქ უთქვამს ვაჟკაცს მშვენივრად შედარებული ელიპსისი: „მზე ამოვიდა, მეცამოვიდიო!“ ე. ი. მზე ქვეყანისთვის ამოვიდა, მე—ტყვეთათვის. და მიაგნებს სადაც არიან. აქ ბულარა ესვრის.

**გ. ლომთათიძე.**

**ოფილსის განმანაწილებელ პუნქტში ივნის**

11 ს. ერთიწმინდელი თეატრის მონაწილეობით კეიმარა ქართული სიდამო დითვალმუდფებულ ჯარისკაცთათვის უფასოდ სამ კამეოფიდებად: 1,) ამირან — ცხოველი სურათი, 2.) ტიმოთეს დედვი 3,) ქართული ეროვნულ ტანისამოში კამოწეობიდი გუნდის სიმღერები, განსაკუთრებით ამირანის სურათი (ოთხი იეო, ძრიელ მოეწონით და ნასიამოვნები დარჩნენ, კარგი იქნება სავალდმეოფოს კამგეობა ნიგთიერად დეხმარებოდეს და ხედს შეუწეობდეს ასეთ სიდამოებს. როგორც შეგიტეეთ, სხვადასხვა დაზარეთს განუზძრასვით, ასეთი სიდამოები (ქართულ-სომხურ-რუსული) მოწეონ.

# ჩვენი ბასუხი

**„უცხო სიტყვათა ლექსიკონი“**

ჯერ კიდევ იბეჭდება და სტამბიდან არ გამოსულა ყოველი ლონისძიებაა მიღებულია, რომ წიგნი მალე გამოვიდეს. თუმცა წიგნის აწყობა-ბეჭდვას დღეანდელი სიძვირის გამო დიდი ხარჯი უნდება, მაინც შეუჩერებლივ იწყობა-იბეჭდება და რა წამს გამოვა, მაშინადვე დაურიგდებათ პატივცემულ ხელის მომწერთ.

**დ. ლანჩხუთი ი. ა—ს.**

ქართველ მსახიობთა კავშირის მისამართი: თბილისი, „ახალი კლუბის დარბაზი“ (დამწეარ თეატრში)

**სპარსეთი.** ბ.—ს. ჟურნალი შეუჩერებლივ გამოდდა და გამოდის. დაკლებული ნომრები მოითხოვეთ და გამოგ გზანებაო.

**თათრული ოპერეტა** უზეირ-ბეგ ჰაჯიბეგოვისა „ოლმასუნ ბუ ოლსუნ“ (ეს არ იყოს ის იყოს“ იგივე მაშტი ბალი) ქართულად სთარგმნა ვანო. გიგო შვილმა. ოპერეტას უკვე ამზადებენ და ამ მოკლ ხანში დაიდგმის.

---

**რედაქტორ-გამომც. იოსებ იმედაშვილი.**

---


**ტემპელ ბეჭდების ქარხანა**

## ლ. ი. შახნოვსკისა

ნიკოლოზის ხიდთან № 10 (ვორონცოვის ორ ხიდ შორის) ამზადებს კავშირთა, კოოპერატივთა, სასოფლო, საქალაქო კომიტეტებისა და სხვა დაწესებულებათა ბეჭდებს, ფაქიზად და შეკვეთილ დროზე. ფასები ზომიერი და ყველასთვის ხელმისაწვდენია. შეკვეთს მივიღებთ წერილობითაც ოფიციალური შემოწმებით: **Тифлисъ. Николаевскій мостъ, № 10 фабрика. штемпелей и печатей. Л. И. Шахновскій**

**სასახლის ქუჩა**
**თავად აზნ. სახლი**

„ერთად ერთ რესტორან **„კაფე პარიზს“** საზაფხულოდ **აქვს ბაღი**, სადაც სუფთა ჰაერზე შეიძლება **საუზმის, სადილის** და **ვახშმის** მირთმევა, არის ცალკე ფანჩატურები და კაბინეტები. **სანოვაგე საუკეთესო ღირსებისაა**

**პატივისცემით სილ. გიგიბერია.**



## სარფუხის საზოგადო კლუბი

**ოკრშაბათი**—სინემტოგ. სიმებ. ორკ.

**სამშაბათი**—სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.

**ოთხშაბათი**—ქართული წარმოდგენა,

**ხუთშაბათი**—ოპერეტა რუსულ ენაზე.

**პარასკევი**—. საოჯახო საღამო

**შაბათი**—რუსული წარმოდგენა

**კვირა**—სიმებიანი ორკესტრი

**შესასვლელი ფასი:** ქალები და სტუდენტები—25 კ. მამაკაცნი 50 კ.

**დასაწყისი:** წარმოგენა—კონცერტების —სინოგრაფ—საღ. 8 ნახ. ს·ტეა



## ახალი კლუბი

1 კვირის პრუ- აპრილის 23 30

**ჩირა**—რუსული წარმ. დეენა. ბილეთ 50-30 კ.

**ოკრშაბათი**—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

**სამშაბათი**—საოჯახო საღამო

**ოთხშაბ.**—სინემატოგრაფი, სიმებ. ორკ.

**ხუთშაბ.**—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაბ.

**პარასკ.**—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დ

**აბ**—საო


**სტამბა „სარბაზანი“**

**მსახიობი ალ. ჯაყელი**
პროვინციის სცენაზე ათის წლის მოღვაწეობის. შესრულების გამო.

## „თეატრი და ცხოვრება“

პრემიით წლ-ურად ღირს 8 მ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „სოლაპანის“ სტამბის კანტორაში მადათოვის კუნძ № 1, ფოსტით: **Тифлис, ред. „Театри да Цховреба“ — Іос. Имедашвили.**